საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
მერია

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 5406
20/11/2019

5406-09-2-201911201511

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

განსახილველად წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს. ვინაიდან დადგენილების მისაღებად საჭიროა ადმიისტრაციული წარმოების დაწყება, პროექტს თან ერთვის შესაბამისი განკარგულების პროექტიც. ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

განხილული იქნა ააიპ სპორტული ცენტრის, ააიპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის და ააიპ საფეხბურთო სკოლის წერილები დამატებით დაფინანსებასთან დაკავშირებით. მიზანშეწონილად ჩაითვალა: გაეზარდოს დაფინანსება ააიპ სპორტულ ცენტრს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 21000 ლარით; ააიპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს გაეზარდოს დაფინანსება 43000 ლარით, მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი (ორგ.კოდი 03 01) 26000 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი (საახალწლო ღონისძიებების მოწყობა) 17000 ლარი; ააიპ საფეხბურთო სკოლას გაეზარდოს დაფინანსება შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 4560 ლარით; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურის წერილის საფუძველზე გაიზარდოს სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამის დაფინანსება 47000 ლარით; ააიპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსება გაიზარდოს 15000 ლარით; მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივები გაიზარდოს 5000 ლარით; მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდოს 12700 ლარით;

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეალიზაციის გეგმის ზრდით 148260 ლარი. ააიპ საფეხბურთო სკოლას შეუმცირდება თანამდებობრივი სარგო 155 ლარით, სხვა ხარჯების მუხლი 2356 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი 102 ლარით. 2613 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდება შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 2613 ლარით.

მნიშვნელოვანია, რომ ზემოთაღნიშნული ცვლილებები ბიუჯეტში აისახოს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში, რის გამოც გთხოვთ საქრთველოს ორგანული

კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოიწვიოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე“.

საკითხთან დაკავშირებით მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის როლანდ ლაშხიას კანდიდატურას.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახური

2800 ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37 Lanchkhuti@yahoo.com

N 2197
20/11/2019

2197-09-3-201911201400

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს

ქალბატონ მაგული კუნჭულიას

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის

მოხსენებითი ბარათი

განხილული იქნა ააიპ სპორტული ცენტრის, ააიპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის და ააიპ საფეხბურთო სკოლის წერილები დამატებით დაფინანსებასთან დაკავშირებით. სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, გაეზარდოს დაფინანსება ააიპ სპორტულ ცენტრს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 21000 ლარით; ააიპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს გაეზარდოს დაფინანსება 43000 ლარით, მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი (ორგ.კოდი 03 01) 26000 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი (საახალწლო ღონისძიებების მოწყობა) 17000 ლარი; ააიპ საფეხბურთო სკოლას გაიზარდოს დაფინანსება შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 4560 ლარით; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურის წერილის საფუძველზე გაიზარდოს სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამის დაფინანსება 47000 ლარით; ააიპ კულტურის გაერთიანების ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 15000 ლარით; მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივები გაიზარდოს 5000 ლარით; მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მოვლა შენახვის ხარჯი გაიზარდოს 12700 ლარით; აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდეს არასასოფლო-სამერნეო მიწის დანიშნულების გეგმის ზრდით 148260 ლარი.

ააიპ საფეხბურთო სკოლას შემცირდეს თანამდებობრივი სარგო 155 ლარით, სხვა ხარჯების მუხლი 2356 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი 102 ლარით. 2613 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 2613 ლარით.

ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება და რისთვისაც მოწვეული იქნეს რიგგარეშე სესია.

პატივისცემით,

როლანდი ლაშხია

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2019 წლის ნოემბერი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი–ს 106^1–ე მუხლის 1–ლი და მე–2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106^2–ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ბესიკ ტაბიძე

დანართი

ცნობა

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2019 წლის ------- ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე–2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).

პროექტი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2019 წლის ნოემბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი 27.12.2018, სარ. კოდი:190020020.35.112.016397) შეტანილი იქნას ცვლილება, კერძოდ:

1. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები I თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 1-ლი მუხლის თანახმად.

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ბალანსი მე-2 მუხლის თანახმად;

2. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები II თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლები მე-3 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახადები მე-4 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გრანტები მე-5 მუხლის თანახმად;

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები მე-6 მუხლის თანახმად;

3. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია III თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები მე-7 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მე-8 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია მე-9 მუხლის თანახმად;

4. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება IV თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო მე–10 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება მე–11 მუხლის თანახმად;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება მე–12 მუხლის თანახმად;

5. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2019-2022 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები V თავის შესაბამისად, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები მე–13 მუხლის თანახმად;

6. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებები VI თავის მე-14 მუხლის თანახმად.

7. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მარეგულირებელი ნორმები VII თავის მე-15 – 24 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ბესიკ ტაბიძე**